ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №647600

ნომერი: AR1125308

თარიღი : 17.04.2013

გაცემის თარიღი : 08.05.2013

გაცნობის თარიღი : 10.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტერენტი გრანელი , N 10-12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ორგანიზაცია:
- შპს"ვიონი საქართველო" კოდი: 20445084

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.16.06.014.001 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა (იხ. დანართი).
კოეფიციენტები:
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.5;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)– 2.1
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გადაწყვეტილება #141102 30.04.2012, პროექტის შეთანხმება გადაწყვეტილება # 363538 24.09.2012, მშენებლობის ნებართვა გადაწყვეტილება#416519 09.11.2012).
იმ შემთხვევაში თუ შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე არ მიმდინარეობს მშენებლობა და მომავალშიც არ იგეგმება, თავდაპირველად აქტის მესაკუთრემ უნდა მოითხოვოს შეთანხმებული დოკუმენტაციის გაუქმება და შემდეგ დააყენოთ მოთხოვნა ახალ მშენებლობაზე, ამასთან, ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში საპროექტო ობიექტის იერსახეს განიხილავს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ზონით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი (pdf ფაილი). რაც შეეხება 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო პარამეტრების განსაზღვრას, გაურკვეველია რას გულისხმობთ, თუ გულისხმობთ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთიდან 600 კვ.მ ფართობის გამოყოფას, აღნიშნულზეც გავრცელდება საცხოვრებელ ზონა 5–ში (სზ–5) მოქმედი პარამეტრები და მიწის ნაკვეთის მონაცემების ცვლილება (ფართობი, კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი) უნდა აისახოს შეთანხმებულ დოკუმენტაციაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გულისხმობთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დამატებითი ობიექტის განთავსებას, გაცნობებთ, რომ ახალი ობიექტი უნდა განთავსდეს ზონით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად შეთანხმებული საპროექტო ობიექტით ათვისებული რესურსის გათვალისწინებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge